საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-10/06

ქ. ბათუმი 29 იანვარი, 2019 წ.

ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობის შესაბამისად ფუნქცია-მოვალეობების განაწილების შესახებ

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 29 იანვრის N01-10/05 ბრძანებით დამტკიცდა ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის პერსონალის განახლებული სამუშაოთა აღწერილობა. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 10 ოქტომბრის N02-01/4 ბრძანების თანახმად, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის საშტატო განრიგში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის საშტატო ერთეული გადატანილი იქნა აღრიცხვა-ანგარიშგების (ბუღალტერია) სამსახურში. ამ სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის თანახმად, 2018 წლის სამსახურის წამყვანი სპეციალისტის ფუნქციათა აღწერილობა განისაზღვრა ამ სამსახურისათვის დამატებული მთავარი სპეციალისტის (VI) ფუნქციებად, ხოლო წამყვანი სპეციალისტის სამუშაოთა აღწერილობა ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, თანახმად ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 29 იანვრის N01-10/05 ბრძანებისა. აღნიშნული გამომდინარე მიზანშეწონილია ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობის შესაბამისად დეპარტამენტის პერსონალის შესასრულებელი ფუნქციები განისაზღვროს დანართი 1-ის შესაბამისად.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23–ე, 24-ე მუხლების, ,,საქართველოს შრომის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N13 გადაწყვეტილების და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგის დამტკიცების

შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2018 წლის 10 ოქტომბრის N02-01/4 და 208 წლის 19 ოქტომბრის N02—01/5** ბრძანებების, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების (ბუღალტერია) სამსახურის უფროსის 2018 წლის 17 ოქტომბრის N1335057 და 2018 წლის 17 ოქტომბრის N1340319 სამსახურებრივი ბარათების და ,,ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის N01-10/5 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობის შესაბამისად ამ დეპარტამენტის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების განისაზღვროს დანართის შესაბამისად (**დანართი 1**).
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (,,დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები).
3. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს) და დანართი 1-ში აღნიშნულ პერსონალს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯემალ ანანიძე**

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის
29 იანვრის N01-10/06ბრძანების

დანართი 1

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის პერსონალის მიერ შესასრულებელი ფუნქციები განისაზღვრება ,,ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის N01-10/5 ბრძანებით, მათ შორის თითოეული წარმომადგენელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოთა აღწერილობით განსაზღვრული შემდეგი ფუნქციები:

1. საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი **დოდო დიასამიძე** - სამუშაოთა აღწერილობის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული;
2. დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის უფროსი **გენადი აბულაძე** - სამუშაოთა აღწერილობის 4.1. პუნქტით გათვალისწინებული;
3. დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი **ირინე ბერიძე** - სამუშაოთა აღწერილობის 4.2. პუნქტით გათვალისწინებული;
4. დეპარტამენტის შესყიდვების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი **ნოდარ აბაკუმოვი** - სამუშაოთა აღწერილობის 4.3. პუნქტით გათვალისწინებული;
5. დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის (ბუღალტერიის) სამსახურის უფროსი (მთავარი ბუღალტერი) **გოჩა მამუჭაძე** - სამუშაოთა აღწერილობის 5.1. პუნქტით გათვალისწინებული;
6. დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის (ბუღალტერიის) მთავარი სპეციალისტი (I) - სამუშაოთა აღწერილობის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული **(ვაკანტური)**;
7. დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის (ბუღალტერიის) მთავარი სპეციალისტი (II) **ირმა დიასამიძე** - სამუშაოთა აღწერილობის 5.3. პუნქტით გათვალისწინებული;
8. დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის (ბუღალტერიის) მთავარი სპეციალისტი (III) **რუსლან ქარცივაძე** -სამუშაოთა აღწერილობის 5.4. პუნქტით გათვალისწინებული;
9. დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის (ბუღალტერიის) მთავარი სპეციალისტი (IV) **ნანა წიკლაური** -სამუშაოთა აღწერილობის 5.5. პუნქტით გათვალისწინებული;
10. დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის (ბუღალტერიის) მთავარი სპეციალისტი (V) **გულნაზ ნაგერვაძე** - სამუშაოთა აღწერილობის 5.6. პუნქტით გათვალისწინებული;
11. დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის (ბუღალტერიის) მთავარი სპეციალისტი (VI) **ნონა მატკავა** - სამუშაოთა აღწერილობის 5.7. პუნქტით გათვალისწინებული;
12. დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის (ბუღალტერიის) წამყვანი სპეციალისტი - სამუშაოთა აღწერილობის 5.8 პუნქტით გათვალისწინებული **(ვაკანტური)**.